445
ეროვნული ბიბლიოთეკა

16 - 22 აპრილი, 1994 წ.
№ 11 (10879) ⊙ ფასი 10 000 კუპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ხუან ანტონიო სამარანჩის ვიზიტისათვის საქართველოში

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი დაიბადა 1920 წლის 17 ივლისს ბარსელონაში. განათლებით ეკონომისტი ერთხანს ესპანეთში საკმაოდ პოპულარულ ჟურნალისტად ითვლებოდა. იყო მსხვილი მრეწველი, დიპლომატი და ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობდა სპორტში.

ახალგაზრდობაში გატაცებული ყოფილა ჰოკეით, თხილამურებით, აფროსნობით, კრივით. ერთხანს მეთაურობდა გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალის ფედერაციას ესპანეთში, პარალელურად ითვლებოდა რამდენიმე მსხვილი გაზეთის მიმომხილველად. სამარანჩი დიდხანს ხელმძღვანელობდა ესპანეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, 1966 წელს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს.

სოკ-ის თავკაცობა სამარანჩს ერთობ რთულ პერიოდში მოუხდა, როცა ორი რეალური ძალა მსოფლიოში მკვეთრად იყო დაპირისპირებული ერთმანეთთან პოლიტიკურ ნიადაგზე. პრეზიდენტმა ამ რთულ ვითარებაში საკმაოდ სალი აზროვნება, სიმტკიცე, დიპლომატიური ტაქტი გამოიჩინა და მოსპო საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისთვის დამღუპველი კონფრონტაცია. სამარანჩის პოზიციას, სპორტულ კრედოს ზუსტად განსაზღვრავს ერთი მისი განცხადება: „ჩვენი ამოცანაა, მაღლა გვეჭიროს ოლიმპიური დროშა და წინ აღვუდგეთ ყველა სიძნელეს, რომლებიც არსებობენ ოლიმპიური მოძრაობის წინაშე".

ხუან ანტონიო სამარანჩი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად აირჩიეს 1980 წლის 16 ივლისს. როგორც ვიუწყებოდით, სოკ-ის პრეზიდენტი 20 აპრილს გვეწვევა თბილისში, სადაც დაჰყოფს ორ დღეს და 21 აპრილს გაემგზავრება ჩვენი დედაქალაქიდან.

**ს უ რ ა თ ზ ე: ხ. ა. სამარანჩი.**

## რა ხდება ქვეყანაზე

⊙ **როგორც** ირკვევა, სპორტული საქონლის მწარმოებელი, ერთ დროს პოპულარული ფირმა „პუმა" ნელ-ნელა იბრუნებს პოზიციებს და საგრძნობლად ავიწროებს თავის კონკურენტებს საერთაშორისო ბაზარზე. ექსპერტთა აზრით, ფირმა ხელახალ წარმატებებს ასორტიმენტის გაიაფების ხარჯზე აღწევს. გარდა ამისა, იგი გონივრულად იყენებს გამოჩენილ სპორტსმენთა სახელებს რეკლამის მიზნით. „პუმას" პროდუქციას პოპულარიზაციას უწევენ ლოთარ მათეუსი, მარკ ჟირარდელი, ბონი ბლეირი და სხვ.

⊙ **კალათბურთის** ეროვნულ ასოციაციაში (ნბა) დამთავრდა მოთამაშეთა ნებადართულ გადასვლათა პერიოდი. კერძოდ, „დეტროიტმა" თავის მეტოქეს — „საკრამენტოს" დაუთმო ცენტრალური თავდამსხმელი ოლდენ პოლანისი, სანაცვლოდ კი პიტ ჩილკოტი მიიღო. ჩიკაგომ „მინესოტასაგან" ისესხა საკმაოდ ტანმაღალი (218 სმ) ცენტრი ლუკ ლონგლი, სანაცვლოდ კი ფორვარდი სტეისი კინგი გადასცა.

⊙ **ლილეჰამერის** ზამთრის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურ ბიულეტენში ნათქვამია, რომ ოლიმპიურ სპორტულ ნაგებობათა დიდი უმრავლესობა დაინგრევა. ასეთი იყო თავდაპირველი შეთანხმება ორგანიზატორებსა და ადგილობრივ მწვანეებს შორის. საცხოვრებელ შენობათა ერთი ნაწილი გაიყიდება აუქციონის წესით, მეორე კი გადაეცემა პენსიონერებს სიმბოლურ ფასებში.

⊙ **როგორც** ამბობენ, წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის სენსაცია იქნება 20 წლის რუსი ყმაწვილი ევგენი კაფელნიკოვი. ჯერ იყო და ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მას რისი ვაი-ნაჩრობით „დაუძვრა ხელიდან" მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი. მერე კი საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო ტურნირი ადელაიდაში. 190 სანტიმეტრის სიმაღლის ჩოგბურთელმა საოცარი ნახტომი გააკეთა რეიტინგების ცხრილში. 1993 წლის სეზონი მან 104 ნომრით დაამთავრა, წელს კი უკვე 51-ე ადგილზეა. არადა, სეზონი, ფაქტობრივად, ეს-ესაა დაიწყო.

## რა ხდება ქვეყანაზე



**კიპლინგის** ცნობილი ნაწარმოების გატყიურებულ გმირს, რა თქმა უნდა, ვერაფერი ესაქმება ჩოგბურთის ცივილიზებულ სამყაროში და იგი თავის „სეხნიას" მხოლოდ ასაკით თუ მოგაგონებთ, მაგრამ ამ შერქმეულ სახელში, ალბათ მაინც არის ის „რაღაც"...

ეს, როგორც მიხვდით, ლირიკული გადახვევაა, რეალობა კი ასეთი გახლავთ: ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპორტული სკოლის მწვრთნელს ვახტანგ თხინვალელს მშობელმა ჯერ მიუყვანა უფროსი გოგონა, რომელსაც ჩოგბურთელის არავითარი მონაცემი არ აღმოაჩნდა, თან არც იმ ასაკისა იყო, როცა ამ ურთულესი თამაშის დაუფლებას იწყებენ და დედა-შვილი უარით გაისტუმრეს.



# კორტზეა „მაუგლი"

— კიდევ მყავს გოგონა, 7 წლისა, იქნებ გამოგადგეთ, — უთხრა დედამ მწვრთნელს გამომშვიდობებისას და ყველაფერიც ამით დაიწყო. ბავშვი — თამრიკო კიკალეიშვილი საოცრად მოძრავი და ალღოიანი აღმოჩნდა, მთავარი კი ის იყო, რომ პირველი დღიდანვე მთელი არსებით შეიყვარა ეს თამაში და ნიადაგ კორტებისკენ მიუწევდა გული. მწვრთნელმა იმთავითვე ისიც შეაგნებინა, რომ ჩოგბურთი დიდ შრომასა და მუყაითობას მოითხოვს და ბავშვიც არ შედრკა, ყოველგვარ დატვირთვას, კედელთან გაუთავებელი ბურთის „ტყაპუნი" იქნებოდა ეს თუ სხვა ვარჯიში, დაუზარებლად, მთელი სერიოზულობით და ხალისით ასრულებდა. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას უკვალოდ არ ჩაუვლია და დღეს, როგორც კი 11 წლის თამარზე ჩამოვარდება სიტყვა, ერთხმად მოგიგებენ —ის ხომ ნამდვილ ჩოგბურთელადაა დაბადებული. და ეს სულაც არ გახლავთ ქათინაური — ჯერ არავის უნახავს თამრიკო კორტიდან დამარცხებული წასულიყო, არც თავისზე მოზრდილებს უდებს ხშირად ტოლს და წარმოიდგინეთ, არც გერმანელ თანატოლებს, სადაც თ. კიკალეიშვილი ამჟამად ცხოვრობს და მონაწილეობს კიდეც შეჯიბრებებში. მას არც აქ შეურცხვენია თავი და იქაური სპეციალისტების ყურადღებაც მიიპყრო. აი, რას წერს ქართველ გოგონაზე იქაური პრესა, კერძოდ, 19 თებერვლის „ვესტფალენ ბლატი" წერილში სათაურით: „ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა ვესერ-ბერგლანდში ახალი თავშესაფარი მონახა": „ნიჭი — ტალანტი, თამარი და „ტოპ-ტენზე" (უძლიერესთა ათეულზე) ოცნება". მისი ამჟამინდელი მწვრთნელის გაბრიელა ტიონის აზრით, თამარი „ქულების დიდოსტატია". და მხოლოდ ეჭვსიანებს — 6:0, 6:1 იღებს.

— მოვიგე, — იტყვის ქართველი გოგონა სიამაყით და სახეზე ეშმაკური ღიმილი არ შორდება. ახლა მას ტყუპი ძმები — რომან და მარტინ ბეზაკები ფარველობენ ბევერენგელ მეწარმე გიუნტერ ჰელდის უშუალო დახმარებით. ძმები უყოყმანოდ აცხადებენ: „მასთან მუშაობით თავს არ შევიწუხებდით ღრმად რომ არ ვიყოთ დარწმუნებული, რომ იგი დღეს თუ ხვალ უეჭველად შეაბიჯებს ყველასათვის საოცნებო „ტოპ-ტინგში", და ამით ყველაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება შერქმეულ სახელს, ეს იქიდან მოდის, რომ თამარს დროდადრო საზოგადოებისგან გარიდება უყვარს, პაწაწაობისას ხშირად ხეზეც მოკალათდებოდა თურმე და ოცნებას მისცემდა თავს... „მაუგლიც" ამიტომ შეარქვეს.

**ჰ. უნგიაძე**

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: „მაუგლი" ძმებ რომან და მარტინ ბეზაკებთან ერთად; „მაუგლი" — თამარ კიკალეიშვილი ასპარეზობის დროს.**

ფოტორეპროდუქციები გერმანულ გაზეთ „ვესტფალენ ბლატიდან".



ხუთშაბათს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დაასვენეს და იქიდან უკანასკნელ გზაზე გააცილეს ქართული კალათბურთის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ლევან ჩხიკვაძე, კაცი, რომლის წასვლამ ამ ქვეყნიდან ყველას გულწრფელად დაწყვიტა გული.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების შეხვედრები.

### ჩემპიონთა ლიგა

„ა" ჯგუფი: „გალათასარაი" (თურქეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) 1-2, „მონაკო" (საფრანგეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 0-1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 6 | 4 | 2 | 0 | 13—8 | 10 |
| „მონაკო" | 6 | 3 | 1 | 2 | 9—4 | 7 |
| „სპარტაკი" | 6 | 1 | 3 | 2 | 6—12 | 5 |
| „გალათასარაი" | 6 | 0 | 2 | 4 | 1—10 | 2 |

„ბ" ჯგუფი: „ანდერლეხტი" (ბელგია) — „ვერდერი" (გერმანია) 1-2, „პორტუ" (პორტუგალია) — „მილანი" (იტალია) 0-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მილანი" | 6 | 2 | 4 | 0 | 6—1 | 8 |
| „პორტუ" | 6 | 3 | 1 | 2 | 10—6 | 7 |
| „ვერდერი" | 6 | 2 | 1 | 3 | 11—15 | 5 |
| „ანდერლეხტი" | 6 | 1 | 2 | 3 | 5—9 | 4 |

ნახევარფინალში 27 აპრილს ერთმანეთს შეხვდებიან: „ბარსელონა" — „პორტუ", „მილანი" — „მონაკო".

### თასების

### მფლობელთა თასი

ნახევარფინალი. „პარმა" (იტალია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 1-0. „არსენალი" (ინგლისი) — „პარი-სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) 1-0. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „პარმა" — „არსენალი".

### უეფას თასი

„ინტერი" (იტალია) — „კალიარი" (იტალია) 3-0, „კარლსრუე" (გერმანია) — „კაზინო" (ავსტრია) 1-1.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ინტერი" და „კაზინო".

## საქართველოს თასზე

**14 აპრილს** გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები:

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „დინამო" (თბილისი) 0-2

„ბათუმი" (ბათუმი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1-0

განმეორებითი მატჩები გაიმართება 22 აპრილს.

## ინფორმაცია

**მინსკში** დამთავრდა ბელარუსის ღია პირველობა კრივში, სადაც სამი ქართველი სპორტსმენიც გამოდიოდა. მათგან ორმა, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, თეთრწყაროელმა ბესიკ ვარძელაშვილმა (60 კგ) და გორელმა ილია ტლაშაძემ (71, ორივე — „მართვე") ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მათი ჰიათურელი თანაკლუბელი ზაალ სეფისკვერაძე პირველივე ბრძოლის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას.

# ბესო ცინცაძე: „ჯერ ნაგანო, შოუ-სპექტაკლებზე მერე ვიფიქრებ“



„ლელოს“ რედაქციაში ორი წლის წინათ გვესტუმრა თავის მწვრთნელთან — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ირაკლი ჯაფარიძესთან და რესპუბლიკის ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტ თემურ ლომაძესთან ერთად. იმ დღეებში სამივე იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში მიემგზავრებოდა. იქ, ხორვატიის ნაკრების უფროს მწვრთნელად უკვე წელიწადია მუშაობდა ი. ჯაფარიძე და ახლა ნიჭიერი მოციგურავე მიჰყავდა იუგოსლავიაში სამი ქვეყნის ტურნეში (იუგოსლავია, ავსტრია, ფინეთი) მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება თ. ლომაძეს, ის მაშინაც სპორტსმენთა აქტიურ სპონსორად ითვლებოდა თავის ფირმასთან „შანსი კბს“-თან (პრეზიდენტი რევაზ სეფიაშვილი) ერთად და დღესაც დახმარებას არ აკლებს საქართველოს ფიგურულ მოციგურავეებს.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ დღეებში რედაქციაში კვლავ გვესტუმრა ბესო ცინცაძე, ამჯერად უკვე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მრავალ დიდ ტურნირში გამარჯვებული და პრიზიორი. მისი მწვრთნელი ი. ჯაფარიძე ახლა ავსტრიაში, ქალაქ ლინცში მუშაობს.

● **მგონი, თქვენც იშვიათი სტუმარი გახდით ჩვენი თბილისქალაქისა...**

— დიახ, ჩემს მწვრთნელთან ერთად გასული წლის აგვისტოდან მეც ავსტრიაში გადავედი და ფიგურული ციგურაობის სახელგანთქმულ კლუბში — „ასკო ლინცში“ დავიწყე ვარჯიში. სხვათა შორის, სწორედ ამ კლუბის წევრები იყვნენ ციგურაობის ისეთი ვარსკვლავები, როგორიც არიან ბეატრის შუბა და ემერიხ დანცერი.

● **ალბათ, ამ ცხრა თვის განმავლობაში ბევრ შეჯიბრებაში იასპარეზეთ?**

— დაახლოებით, ათამდე იქნებოდა: სექტემბერში ობერსდორფში საერთაშორისო ტურნირზე მეხუთე ვიყავი, მერე ვენაში „კარლ შეფერის თასზე“ — მესამე, წლეულს, იანვარში, კოპენჰაგენში ევროპის ჩემპიონატში XV ადგილზე გავედი, ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონატზე XIX შედეგი ვაჩვენე, ლინცში საერთაშორისო ტურნირზე კი პირველობა არავის დავუთმე...

● **ჩვენი გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაშიც მიიღებდით მონაწილეობას...**

— ჩემი გამოუსვლელობა იმან განაპირობა, რომ თეთრი ოლიმპიადის ტურნირზე დაშვებული იყვნენ საუკეთესონი (12 მონაწილე) პრაღის წინა მსოფლიო ჩემპიონატის მიხედვით. მე კი მაშინ „ორი საფეხური“ დამაკლდა — XIV ადგილზე გავედი.

● **რამდენ ხანს აპირებთ თქვენ და თქვენი მწვრთნელი ირაკლი ჯაფარიძე ავსტრიაში დარჩენას?**

— ჩემს მწვრთნელს და მის მეუღლეს— ერთ დროს ჩვენს უძლიერეს მოციგურავეს მარინე ცერცვაძეს კონტრაქტით კიდევ ორი წელი აქვთ სამუშაო ავსტრიაში, მერე, ალბათ, ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავლენ სამუშაოდ და, ვფიქრობ, მათთან ერთად მეც გავემგზავრები. ყოველ შემთხვევაში, გეტყვით, რომ ბატონ ირაკლისთან ერთად შემუშავებული გვაქვს 1998 წლის თეთრი ოლიმპიადისათვის (ნაგანო) მზადების ოთხწლიანი გეგმა. თუ სად განხორციელდება იგი, ჯერ არ ვიცით, მთავარი მაინც ის არის, რომ მე კვლავ ჩემს მწვრთნელთან განვაგრძობ ვარჯიშს, რაც ასე ნაყოფიერი გამოდგა.

● **ამერიკა ახსენეთ. თუ არ ვცდები, დღეს იქ ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე ფიგურული მოციგურავე იმყოფება, მათ შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ანდრეი ტოროსიანი. ისინი იქ პროფესიონალებთან ერთად გამოდიან შოუ-სპექტაკლებში. თქვენც ხომ არ აპირებთ შეუერთდეთ მათ?**

— საქართველოში აღზრდილი კიდევ ბევრი ჩემპიონი გამოდის სხვადასხვა ქვეყნის ყინულის შოუში: ბადრი ყურაშვილი —ბერნში (შვეიცარია), გიზო ბლიაძე— დიუსელდორფში (გერმანია) და სხვა. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას შოუ-სპექტაკლებში, ვფიქრობ, ეს ჯერ ნაადრევია. იქნებ ამაზე მომავალი თეთრი ოლიმპიადის შემდეგ ვილაპარაკოთ, დღეს კი ჩემი უახლოესი გეგმაა სანკტ-პეტერბურგის რიგით მესამე „კეთილი ნების თამაშებში“ გამოვიდე წარმატებით და სიხარული მოვუტანო ქართველ გულშემატკივრებს.

ესაუბრა
**ოთარ ნოზაძე.**

სურათზე: ბესო ცინცაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲘᲡ კომენტარი:** გავიხსენოთ: ფიგურულმა ციგურაობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა 60-იანი წლების დასაწყისში, როცა ენთუზიასტმა მწვრთნელმა ე. პლინერმა მსურველთა პირველი ჯგუფი შეკრიბა ბაკურიანში ბუნებრივ საციგურაოზე. „პირველი ტალღის“ წარმომადგენლებმა დაამტკიცეს, რომ ამ სახეობას, რომელიც არსებითად სპორტისა და ხელოვნების სინთეზს წარმოადგენს, ჩვენში დიდი პერსპექტივები გააჩნია. მერე თბილისში აიგო არასტანდარტული საციგურაო (27X27 მ; სრული ზომაა 60X60) და სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოდან ოცზე მეტი სპორტსმენი შედიოდა სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებში, ბევრმა მათგანმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო შეჯიბრებებში. 80-იანი წლების ბოლოს ჩვენი საციგურაო ბაზის სისტემა მოძველდა, სამი წელიწადი იგი უმოქმედობდა, ცხადია, შეწყდა მუშაობა, თაობათა შორის მემკვიდრეობითობა, ზოგიერთი მწვრთნელი და სპორტსმენი უცხოეთში წავიდა. ასმაგად გასახარია, რომ მიუხედავად ასეთი პირობებისა, ქართული საციგურაო სკოლის ტრადიციები არ ჩამკვდარა. უდავოდ, დიდ საქმეს აკეთებს ირაკლი ჯაფარიძე, რომლის დამსახურებაა ბესო ცინცაძის წარმატებები, მომავალში კი მათგან მეტს მოველით. ბ. ცინცაძის დაოსტატებაში დიდად გვეხმარება განათლების სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, ფედერაცია და სპონსორი „შანსი კბს“. ამ ორგანიზაციების ხელშეწყობით კვლავ ამუშავდა ჩვენი სკოლა. ვსარგებლობ შემთხვევით და **სკოლაში ვიწვევთ 5-7 წლის ყველა მსურველს. მობრძანდით, ჩვენი პატარა საციგურაო კვლავ გიხმობთ დიდი სარბიელისკენ.**

## ფალავნის ქალიშვილი— წყალში მხტომელი

**ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ** ორი, რუსეთის სამი, შვეციის, ლიტვის, ლატვიისა და საქართველოს თითო გუნდი მონაწილეობდა წყალში მხტომელთა მე-14 საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში ფინეთის ქალაქ ვანტაში (სამი ასაკობრივი ჯგუფი). საქართველოდან 1979-80 წლიანებში გამოდიოდა ჩვენი ცნობილი ფალავნის თემურ ყაზარაშვილის უფროსი ქალიშვილი ნანა. მან არ უღალატა ოჯახურ ტრადიციას და სამი სახეობიდან ორში — კოშკურიდან და სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლებს დაეუფლა, ხოლო ერთმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში მეორე ადგილი დაისაკუთრა. ნანა ყაზარაშვილი დაჯილდოვდა აგრეთვე სპეციალური თასით, როგორც უცხოელთა შორის საუკეთესო მხტომელი. „ლელოს“ კორესპონდენტის შეკითხვაზე სამომავლო გეგმების შესახებ ნანამ უპასუხა, რომ მაისში მიემგზავრება ნორვეგიაში საერთაშორისო ტურნირზე, ხოლო ივლისში ჩეხეთში ევროპის პირველობაზე გამოვა, სადაც სერიოზული გამოცდა ელის. ძალიან მინდა გულშემატკივრები არ გავაწბილო — თქვა მან.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ**

## მეშვიდე ადგილი ვადამდე

**ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ და მძაფრი ბრძოლები გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატზე იმ გუნდებს შორის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ VII-X ადგილებისთვის.** პირველი ტურის შეხვედრები დამაჯერებლად ჩაატარა „მერანმა“, რომელმაც სამივე კალენდარული მატჩი მოიგო და მეორე ტურის შეხვედრათა შედეგების მიუხედავად წინასწარ გაინაღდა VII ადგილი სატურნირო ცხრილში.

ყურადღებას იპყრობს სპორტკლუბ „შევარდენის“ თამაში ბოლო დროს. მას აშკარად ეტყობა წინსვლა. ეს, სხვათა შორის, პირველი ტურის მატჩებმაც ცხადყო, შევარდნელებმა ორი შეხვედრა მოიგეს და ჯერჯერობით ცხრილში მერვე ადგილი დაიმკვიდრეს.

ოთხი გამარჯვებით IX ადგილზეა ქუთაისის „ჯიხვი“, აი თბილისის „ჯიქმა“ კი ჯერჯერობით მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგო და, ბუნებრივია, გუნდი X ადგილს ვერ გასცდა.

## ვერაფერი სანუგეშო...

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ** იმისა, რომ რომში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველო მხოლოდ ოთხი მონაწილით იყო წარმოდგენილი (დავით პოლოსიანი — 62 კგ, ჯონდო მოდოსიანი — 82 კგ, ელდარ კურტანიძე — 90 კგ, ლევან ებანოიძე — 130 კგ) ჩვენი ათლეტებისგან უკეთეს გამოსვლას ველოდით. ის, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არ გვაძლევს საშუალებას ასეთ ტურნირებში სრული გუნდი გავაგზავნოთ, საქმის ერთი მხარეა მხოლოდ, უფრო გულდასაწყვეტი ის გახლავთ, რომ ვინც მიდის, ისიც ვერაფერს აღწევს სახეიროს.

თუმცა ელდარ კურტანიძეს ალბათ უკეთესი შედეგის ჩვენება შეეძლო, იგი ყოველმხრივ მზად იყო საამისოდ, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ტრავმის გამო ვერ შეძლო მთელი ძალით ჭიდაობა და საბოლოოდ საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა (IV ადგილი).

ლევან ებანოიძეს მძიმეწონოსანთა ტურნირში VII-VIII ადგილი ერგო, დავით პოლოსიანი და ჯონდო მოდოსიანი კი ასპარეზობას ორი წრის შემდეგ გამოეთიშნენ.

გუნდური პირველი ადგილი, როგორც სავარაუდო იყო, რუსეთის ნაკრებმა დაისაკუთრა. ამ გუნდის წევრებმა ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მიიღეს. ჩემპიონატის სიურპრიზი გახლდათ სომხეთის მოჭიდავეთა წარმატება: ორმა ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალმა ჩვენს მეზობლებს საშუალება მისცა მეორე გუნდური ადგილი დაეკავებინათ.

**ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ**

## ხელმარჯვედ სცემდეთ ჩოგანსა...

ძველი თაობის გულშემატკივარს კარგად ახსოვს, როგორი პოპულარული იყო ჩოგბურთი საქართველოში. ომის შემდგომ წლებში, როცა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების თამაშის ხილვა ფუჭი ოცნება იყო, თბილისელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს გამოჩენილი ოსტატების ნიკოლოზ ოზეროვისა და ედუარდ ნეგრებეცკის მუდმივ მეტოქეობას, შემდეგ კი, როდესაც დაწინაურდა მსოფლიო ელიტის წარმომადგენელი, უიმბლდონის ვიცე-ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი, ამ თამაშისადმი ინტერესმა კიდევ უფრო იმატა. „ასე საბჭოთა კავშირში არასდროს არავის უთამაშია“. — წერდა ანა დმიტრიევა.

ახლა როგორი მდგომარეობაა ჩვენს ჩოგბურთში? ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲝᲑᲚᲘᲫᲔ.**

⊙ **ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ვლადიმერ! გულშემატკივარს ბევრი რამ აინტერესებს. დავიწყოთ ორგანიზაციული საკითხებიდან...**

— ყველა საკითხს, რომელიც ჩვენს სახეობას ეხება, ხელმძღვანელობს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე მეტრეველი). ვგეგმავთ ყოველწლიურ შეჯიბრებებს, ვმუშაობთ ნაკრებ გუნდებთან, ახალგაზრდებთან. გასაგებია, დიდ სიძნელეებსაც განვიცდით, მაგრამ ვცდილობთ გამოსავალი მოვნახოთ.

⊙ **როგორი კონტაქტი გაქვთ ჩოგბურთის მსოფლიო ფედერაციასთან?**

— ძალიან კარგი. მსოფლიო ფედერაციამ კარგად უწყის ჩვენი პრობლემები, დროდადრო გვაძლევს საკმაოდ სოლიდურ თანხას. ამას წინათ მივიღეთ ჩოგნებისა და ბურთების დიდი რაოდენობა, რამაც სულზე მოგვისწრო. გამოგვიგზავნეს სპორტული სამოსი, შეგვატყობინეს კიდეც რაოდენობა. ზოგი სად დაიკარგა, ზოგი სად, ჩვენამდე მხოლოდ ნაწილმა მოაღწია.

⊙ **რას საქმიანობენ წარსულში ჩვენი ცნობილი ჩოგბურთელები?**

— ალექსანდრე მეტრეველი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად მონაწილეობს ვეტერანთა ასპარეზობებში, რომელიც სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა ქვეყანაში. ეს შეჯიბრებები საერთაშორისო ფედერაციის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ტურნირი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში — 35, 40, 45, 50 წ. მიმდინარეობს. ასე განსაჯეთ, 60 წელს გადაცილებულთა შორისაც კი. ჰონორარიც ხოლიდურია. სისტემატურად თამაშობენ ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან კენ როზუოლი, როდ ლეივერი, სტენ სმითი...

⊙ **პანჩო გონზალესი?**

— არა, გონზალესი აღარ თამაშობს. ეტყობა, ერიდება, აქ მისი ასაკიც უნდა გავითვალისწინოთ, 66 წლისაა (რიკარდო ანუ პანჩო გონზალესი დაიბადა 1928 წლის 9 მაისს).

⊙ **ჩვენი სხვა ვეტერანები?**

— კაკულია ამჟამად კონტრაქტით მუშაობს საბერძნეთში, რენა აბჟანდაძე, კვლავინდებურად—მწვრთნელად.

⊙ **რომელ შეჯიბრებებში აპირებთ მონაწილეობას?**

— ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებებთაგან ორია: ქალთა მსოფლიო და დევისის თასების გათამაშება. ქალთა მსოფლიო თასის საწყისი ეტაპი ჩვენი მონაწილეობით აპრილში მოეწყობა ავსტრიაში, ე. წ. სამქულიანი ჩათვლით, როცა იმართება ორი შეხვედრა ერთეულთა და ერთი — წყვილთა შორის. ჩვენს გუნდს ალექსანდრე მეტრეველი უხელმძღვანელებს. ითამაშებენ ლელა მესხი, რომლის მრავალრიცხოვანი გამოსვლების შესახებ საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული და ორი ძალზე პერსპექტიული გოგონა — ნინო ლუარსაბიშვილი და სოფიკო მანაგაძე.

⊙ **შეიძლება ამ საწყისი ეტაპის დაძლევა და შემდეგ წრეში გასვლა?**

— ვნახოთ, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით, ვაჟთა შორის ვთამაშობთ ერთ-ერთ ზონაში. შეჯიბრება მაისში იმავე სამქულიანი ჩათვლით გაიმართება სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკაში, ქ. იამუსუკროში ჩვენი და 5 აფრიკული სახელმწიფოს გუნდების მონაწილეობით. აქ გუნდის კაპიტნის ფუნქციებს შევასრულებ, ნიკო ელერდაშვილი კი მწვრთნელი იქნება. როგორც წინასწარ შევიტყვეთ, მეტოქეებს შორის ყველაზე ძლიერად მასპინძლები, სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის ჩოგბურთელები თამაშობენ. გამარჯვებული გადადის დევისის თასის გათამაშების მეორე ჯგუფში.

⊙ **გუნდის შემადგენლობა თუ დაკომპლექტდა?**

— საბოლოოდ არა. გვყავს 5 კანდიდატი (მათ შორის—ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაჭარავა), რომელთაგან უნდა დარჩეს სამი. ეს საკითხი მალე გადაწყდება.

ესაუბრა
**ᲒᲘᲕᲘ ᲗᲮᲘᲜᲕᲐᲚᲔᲚᲘ.**

## ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

**საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში. თბილისი. 8-9 აპრილი. საქართველოს სპორტკომიტეტის დარბაზი.**

**60 კგ.** 1. მამუკა მახათაძე (თბილისი), 2. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო, ორივე — „მართვე“), 3. ვახტანგ კიკაბიძე (სოხუმი, „რაინდები“) და ზურა მელიქიშვილი (დუშეთი, „მართვე“).

**65:** 1. გიორგი რევაზიშვილი (საგარეჯო, „რაინდები“), 2. მამუკა კელაპტრიშვილი (თბილისი, თავდაცვის სამინისტრო), 3. დავით ფუზაშვილი (გორი, „შევარდენი“) და ფრიდონ კახელიშვილი (თბილისი, „რაინდები“).

**71:** 1. გერასიმე ხაბულიანი (თბილისი, „მართვე“), 2. გე[illegible]ა კავსაძე, 3. მალხაზ ავალიანი (ორივე — გორი, „შევარდენი“) და ნუკრი ვარდანაშვილი (თბილისი, „მართვე“).

**78:** 1. ბადრი ოლგესაშვილი (გორი, „შევარდენი“), 2. ლევან ციგრიაშვილი (თბილისი, „მთაწმინდა“), 3. ჯონდო მუზაშვილი (მცხეთა, თავდაცვის სამინისტრო) და ბესიკ ბუზალაძე (დუშეთი, „მართვე“).

**86:** 1. ივერი ჯიქურაული (დუშეთი, „მთაწმინდა“), 2. კობა ნადირაძე (გორი, „რაინდები“), 3. ვანო არაბული (თბილისი, თავდაცვის სამინისტრო) და ზვიად მერაბიშვილი (თბილისი, „შევარდენი“).

**95:** 1. მევლუდ ლობჟანიძე, 2. ლერი ჟორჟოლიანი (ორივე — „შევარდენი“), 3. ლევან გაგნიძე („რაინდები“) და კოტე აბულაძე („მართვე“, ყველა — თბილისი).

**მძიმე:** 1. ლევან ჯაფარიძე, 2. ზაზა დაბრუნდაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ბესიკ ბასილაშვილი (რუსთავი, სამივე — „მართვე“).

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: მძიმე წონაში მხოლოდ სამი მოჭიდავე ასპარეზობდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი

**IV ტური, 10-11 აპრილი.**

**I-X ადგილებისთვის**

„დილა“ (გორი) — „დინამო“ (თბილისი) 0-3

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3-1

„ბათუმი“ (ბათუმი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-0

„ივერია“ (ხაშური) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2-0

„გურია“ (ლანჩხუთი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 3-0. მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ვ. ეჯიბია, დ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისიდან).

**„გურია“**: კუნჭულია, პაპავა, თევზაძე, დანელია, იმნაძე, განევი, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, ქიქავა (კვინტრაძე); **„სამტრედია“**: მიქაძე, იონანიძე, ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, წულაია, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე.

**გოლები**: თევზაძე-2, კვინტრაძე.

„გურიის“ საფეხბურთო კლუბი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. ფეხბურთელებს ოთხი თვეა ხელფასი არ მიუღიათ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ისინი ნათხოვარი ფორმით თამაშობენ, მოუგვარებელია კვების საკითხიც. ყოველივე ამას გულგრილად შეჰყურებს ლანჩხუთის რაიონის გამგებელი ანზორ კილაძე, რომელიც ადრე, როგორც გაერთიანება „თაიგულის“ გენერალური დირექტორი, ყურადღებას არ აკლებდა კარგი საფეხბურთო ტრადიციების მქონე გუნდს... გვინდა ვუსაყვედუროთ აგრეთვე ადგილობრივ გულშემატკივრებს, რომლებიც საერთოდ არ ესწრებიან „გურიის“ მატჩებს. ამის საწინააღმდეგოდ გაგვახარა სამტრედიის გულშემატკივართა ერთგულებამ, ისინი რამდენიმე ავტობუსით ჩამოვიდნენ თავისი გუნდის გასამხნევებლად.

პირველ ტაიმში იგრძნობოდა სტუმართა გუნდის უპირატესობა, ჯანაშიამ და გენძეხაძემ აშკარა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და, როგორც ეს ფეხბურთში ხდება, დაისაჯნენ კიდეც: თევზაძემ ოსტატურად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა.

საფიქრებელი იყო, რომ სტუმრები მეორე ტაიმში შეტევაზე გადავიდოდნენ, მაგრამ აქ მოულოდნელად ამოვარდა ქარიშხალი, რომელიც ბურთს სამტრედიის კარისკენ ერეკებოდა. სწორედ ამის შედეგად გავიდა სტუმართა კარში ორი კურიოზული ბურთი.

**XI-XIX ადგილებისთვის.**

„შუქურა“ (ქობულეთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1-1

„კახეთი“ (თელავი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-2

„მრეტები“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-2

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0-2

## მსაჯები დაისაჯნენ

**შედგა** საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის აღმასკომის საგანგებო სხდომა, რომელზეც განიხილეს 6 აპრილს ფოთში გამართული რესპუბლიკური თასის მეოთხედფინალური მატჩის („კოლხეთი-1913“ —„შევარდენი-1906“) მსაჯობის საკითხი.

მატჩის ვიდეოკასეტის ნახვის შემდეგ არბიტრმა ს. კვარაცხელიამ და გვერდითმა მსაჯმა გ. ხეჩუაშვილმა გულწრფელად აღიარეს თავიანთი შეცდომები (მეორე გვერდითი მსაჯი მ. ფოლადაშვილი სხდომას არ ესწრებოდა).

აღმასკომის დადგენილებით მ. ფოლადაშვილს აეკრძალა მსაჯობა 1994 წლის ბოლომდე, ხოლო — ს. კვარაცხელიას და გ. ხეჩუაშვილს — სეზონის ბოლომდე. მათვე დაედოთ ფულადი ჯარიმები.

მივლინება საფეხბურთო კლუბებში

# 1. „ანაკოსი“ სჯერათ

**მეორე** ჯგუფის დასავლეთ ზონაში დასაწყისშივე გამოიკვეთა სამი გუნდი, რომელთა შორისაც შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა პირველი ადგილისთვის, თუ პირველ ტურებში ტყიბულის „მეშახტე“ დაწინაურდა, შემდგომში მას სენაკის „ეგრისმა“ და ოზურგეთის „ანაკომ“ საგრძნობლად გაუსწრეს. „ლელომ“ ამას წინათ შემოგვთავაზა მასალა სენაკელებზე, დღეს გთავაზობთ მოკლე ჩანახატს ოზურგეთელთა შესახებ.

ოზურგეთში საერთო გაჭირვებისა და განუკითხაობის ფონზე აქაური „ანაკოს“ მიღწევები ფრიად სასიამოვნოა. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ მაშინდელმა „მერცხალმა“ მარცხი განიცადა და უმაღლესი ჯგუფი დატოვა, ძნელად თუ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც სჯეროდა, რომ ოზურგეთში კვლავ აღორძინდება ძლიერი საფეხბურთო კლუბი.

საბედნიეროდ, რაიონში გამოჩნდნენ ეთუზიასტები, რომლებიც ფეხბურთის სიყვარულმა გააერთიანა. კლუბზე შეფობა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „ანაკომ“ იკისრა (პრეზიდენტი გ. ჯიჯიეშვილი, ვიცე-პრეზიდენტები ჭ. მამეიშვილი, ბ. დარჩია). მათ აქტიურად ამოუდგნენ მხარში ანასეულის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი გ. ხუჭუა) და ჩაის გადამწონი ფაბრიკა (დირექტორი ა. ლომაძე). გუნდსა და შეფებს შორის „კოორდინატორის“ როლი კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ბ. გიორგაძემ ითავა, მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს ახალგაზრდა სპეციალისტი მერაბ კოჭლაშვილი, რომელმაც გამოცდილება მიიღო ისეთ კლუბებში, როგორიცაა გორის „დილა“, თბილისის „მრეტები“ და „ანცი“, მისი ხელი უდავოდ დაეტყო გუნდის თამაშს. ამჯერად ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა თვალი გვედევნებინა ოზურგეთელთა თამაშისთვის ზონის ერთ-ერთ ლიდერთან — ტყიბულის „მეშახტესთან“. „ანაკოს“ ფეხბურთელებმა მაღალი ფიზიკური მომზადების წყალობით მთელი მატჩის მსვლელობაში ბურთის კოლექტიური წართმევით თამაში შესთავაზეს მეტოქეს.

თუ დარჩენილ ტურებში „ანაკომ“ ქულათა მაქსიმუმი აიღო, გავუთანასწორდებით სენაკელებს — იმედოვნებენ ოზურგეთელი გულშემატკივრები, რომელთაც სჯერათ, რომ რაიონს მომავალ საფეხბურთო სეზონში კვლავ ეყოლება გუნდი უმაღლეს ჯგუფში. ამის იმედი აქვს აგრეთვე რაიონის ახლად დანიშნულ გამგებელს კობა ხომერიკს, რომელმაც ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა „ანაკოს“.

# 2. რა ხდება აბაშაში?

**მეორე** წელია, რაც აბაშაში დაშლილი საფეხბურთო კლუბ „ზანას“ ნაცვლად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოდის „კოლხეთი“. მას სპონსორობას უწევს აბაშის მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა „კოლხეთი-1“ და პირადად უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ კალანდაძე.

სამეგრელოს რეგიონში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, რაიონში შეძლეს შეექმნათ საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომლის მთავარმა მწვრთნელმა ლეო გეგეშიძემ უმთავრესი ყურადღება ადგილობრივ ფეხბურთელებზე გადაიტანა და ისინი მიიწვია „კოლხეთში“.

ყურმოკრული გვქონდა, რომ სოფელ მარანში შენდება სპორტული ბაზა, ამიტომ აბაშაში ჩასვლისას კლუბის პრეზიდენტს პაატა გიგინეიშვილს და ვიცე-პრეზიდენტს ავთანდილ ახობაძეს ვთხოვეთ იქ გავემგზავრებულიყავით.

ის, რაც ჩვენი თვალით ვნახეთ, რესპუბლიკაში არსებული სიდუხჭირიდან გამომდინარე, ზღაპრად მოგვეჩვენა: შუა სოფელში აუშენებიათ მშვენიერი სტადიონი ორი საფეხბურთო მინდვრით, მთავრდება ფეხბურთელთა და მსაჯთა გასახდელები, 30-კაციანი სასტუმრო, აბანო, საშხაპეები, სასადილო, კონფერენცდარბაზი, სამუშაოები მთელი ტემპით მიმდინარეობს და, როგორც გვითხრეს, მაისის ბოლოს მოხდება კომპლექსის საზეიმო გახსნა.

ჩვენთან საუბარში ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სამუშაოებში, განსაკუთრებით ემადლიერება თენგიზ კალანდაძეს — იგი ხელმძღვანელობს და მზრუნველობას არ აკლებს მშენებლობას. აქვე საყვედური გამოითქვა აბაშის რაიონის გამგებლის სოსო ჭანტურიას მისამართით: იგი, თურმე, არც უნახიათ მშენებლობაზე, არ ესწრება ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს, და, საერთოდ, გულგრილობას იჩენს რაიონში ფეხბურთის განვითარების მიმართ.

მივდიოდით აბაშიდან და გვიხაროდა, რომ ცხოვრება ამ კუთხეში ნელ-ნელა კალაპოტში დგება, რახან მოსახლეობამ ფეხბურთისკენ იბრუნა გული.

**ჯემალ ჭიპაშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.
ოზურგეთი-აბაშა.

## ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი

# საბერძნეთი

**საბერძნეთის** ფეხბურთელთა ნაკრებს მრავალჯერ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ჯგუფებში და რამდენადმე უცნაურიც არის, რომ პირველად მხოლოდ ახლა მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საბერძნეთში ფეხბურთის დიდი პოპულარობა და ის ყურადღება, რომელსაც იქ ნაკრებს უთმობდნენ.

საბერძნეთში ფეხბურთი ინგლისელებმა დანერგეს 1880 წელს, თუმცა, თამაშის განვითარებას აქ დიდხანს ხელს უშლიდა ბალკანეთში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. საბერძნეთის ფეხბურთის კავშირი („ელინიკი პოდოსფაირიკი ომოსპონდია“) დაარსდა 1926 წელს, 1927 წლიდან ფიფას წევრია, 1954 წლიდან — უეფას წევრი. შინაური „მეურნეობა“ კარგად მოწესრიგებული აქვს, ქვეყნის თითოეულ 58 მცხოვრებზე (10 მილიონიდან) 1 ფეხბურთელი მოდის, არსებობს 2650 კლუბი, 450 პროფესიონალი ფეხბურთელი, 2000—ე. წ. „ნახევრადპროფესიონალი“ (მოთამაშე, რომელსაც კლუბთან ხელშეკრულება აქვს დადებული, მაგრამ შეუძლია სხვა სპეციალობითაც იმუშაოს), 160 ათასი — მოყვარული ფეხბურთელი, ჭაბუკებიანად სულ 170 ათასი. საბერძნეთის ნაკრები შინ თამაშობს რამდენიმე კარგ სტადიონზე, როგორებიცაა ათენის ეროვნული „კარაისკაკი“ (ეტევა 42 ათასი მაყურებელი), სალონიკის „კაფტანცოგლიონი“ (47 ათასი), ათენის აეკ-ის სტადიონი (35 ათასი), სალონიკის პაოკი (40 ათასი) და ა. შ.

1960 წლიდან ქვეყანაში დაკანონებულია პროფესიული ფეხბურთი. ბერძნული ფეხბურთის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება 1963 წელს პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ მიერ ბალკანეთის თასის მოპოვება, 1971 წელს ათენის „პანათინაიკოსის“ გასვლა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში; ნაკრების მიერ 1980 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლების მოპოვება და, რაც მთავარია, ახლანდელი ტრიუმფი, რამაც მთელ ქვეყანაში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. საბერძნეთის პრესაში ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული თემა სწორედ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატია, მწვრთნელმა ალკეტას პანაგულიასმა რომ მოინდომოს, როგორც ბერძნული პრესა წერს, შეუძლია ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა.

რამდენიმე სიტყვა ამ ამჟამად დიდად პოპულარული პიროვნების შესახებ, ალკეტას პანაგულიასი დაიბადა 1934 წელს სალონიკში. თავის დროზე ცნობილი ნახევარმცველი იყო, 1950-62 წლებში გამოდიოდა სალონიკის „არისში“. 6-ჯერ ითამაშა საბერძნეთის მეორე ნაკრებში. 1969 წლიდან პროფესიონალი მწვრთნელია, მუშაობდა ნაკრების მეორე მწვრთნელად, 1972-73 წლებში სათავეში ედგა სალონიკის „არისს“, 1974-75 და 1978-80 წლებში იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 1977-78 და 1980-82 წლებში ხელმძღვანელობდა პირეოსის „ოლიმპიაკოსს“, 1982-85 წლებში სათავეში ედგა აშშ-ს ნაკრებს. მის მიღწევად ითვლება 1980 წელს საბერძნეთის ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლების მოპოვება, აგრეთვე პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ წარმატებები: 1980 წელს საბერძნეთის ჩემპიონობა, 1981 წელს კი „დუბლი“ — ქვეყნის ჩემპიონობაც და თასიც. პანაგულიასმა, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა (ჩვეულებრივ აქ ნახევარ წელიწადს ცხოვრობს), დაამთავრა ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, აქვს პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის პროფესორის წოდება.

რაიმე საერთაშორისო სახელი საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელებს არა აქვთ, რასაც პანაგულიასი ხსნის ევროპელი მენეჯერების უყურადღებობით, რომლებიც ამ ქვეყანას სულ ტყუილად თვლიან ფეხბურთის სამყაროს მიყრუებულ „პროვინციად“. ნაკრების რამდენიმე წევრს მწვრთნელის აზრით, თამამად ძალუძს ევროპის საუკეთესო კლუბებში თამაში. ევროპის ექსპერტებისა თუ მენეჯერების შეხედულება ბერძნებზე სულ მალე შეიცვლება, სულ რამდენიმე თვის შემდეგ.

ამერიკაში გამგზავრების ძირითად კანდიდატებად ამჟამად ითვლებიან მეკარეები ანტონიოს მინუ და კონსტანტინოს ხანაიტაკოსი, მცველები— ეფსტრატოს აპოსტოლაკისი, იოანის კალიცაკისი, ანასტასიოს კოლიციდაკისი, სტილიანოს მანოლასი, სოტირიოს მავრომატისი, კირიაკოს კარატაიდისი. შუა ხაზის მოთამაშეები — ნიკოლაოს ნიოპლიასი, პანაიოტის ცალუხიდისი, ანასტასიოს მიტროპულოსი, ნიკოლაოს ციანტაკისი, კონსტანტინოს ფრაცესკოსი, სპირიდონ მაგანოსი, ვასილიოს კარაპიალისი, კონსტანტინოს ანტონიუ, თავდამსხმელები ვასილიოს დიმიტრიადისი და ნიკოლაოს მახლასი.

ბერძენი მიმომხილველების აზრით ნაკრების საბრძოლო შემადგენლობა საბოლოოდ დადგინდება ათენის „ოთხთა ტურნირის“ მერე, რომელშიც მასპინძლების გარდა მონაწილეობენ ინგლისის, კამერუნისა და ჩრ. ირლანდიის გუნდები. იგი 16-23 მაისს გაიმართება, უკვე მომდევნო დღეს კი ბერძნები აშშ-ში გაემგზავრებიან. 25 მაისს ნიუ-იორკში იწყება გუნდის დასკვნითი შეკრება. 29 მაისს ბოლო მნიშვნელოვანი საკონტროლო მატჩია დანიშნული აშშ-ს ნაკრებთან.

**გივი ბამრეკელი**



## ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან



**1978 წელი. არგენტინა**

### ასრულდა არგენტინელთა დიდი ხნის ოცნება

1978 წლის მე-11 მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ფიფამ სამხრეთ ამერიკის ამ სახელმწიფოს არგუნა. არგენტინელებმა ეს უპირატესობა შესანიშნავად გამოიყენეს და პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა, თუმცა ეს წარმატება უბრძოლველად არ მოსულა. ფინალურ „ბ“ ჯგუფში მასპინძლებს კონკურენციას ბრაზილიელები უწევდნენ, მათმა ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. შეხვედრა 0-0 დასრულდა, ყველაფერი პერუს ნაკრებთან ორივე გუნდის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს 3-0, მაგრამ ეს ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა, პერუელებმა, რომლებიც ჯგუფურ ტურნირში (IV ჯგუფი) ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ და პირველ ადგილზეც კი გავიდნენ, ფინალურ ჯგუფში სრული უსუსურობა გამოავლინეს. ისინი მასპინძლებთან 0-6 დამარცხდნენ. ამ გამარჯვებამ და ბურთების უკეთესმა შეფარდებამ, არგენტინელები ფინალში გაიყვანა. მათი მეტოქე გამოვლინდა „ა“ ფინალურ ჯგუფში, ჰოლანდიელებმა კრუიფის გარეშეც დიდებული ფეხბურთი აჩვენეს და კინაღამ გამოსტაცეს თასი არგენტინელებს ხელიდან. მიმდინარეობდა ფინალური მატჩის ბოლო წუთი, როდესაც ჰოლანდიელთა თავდამსხმელი რენსენბრინკი პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, მაგრამ მისი დარტყმა ძელმა მოიგერია. დამატებით დროში არგენტინელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა მარიო კემპესმა (7 თამაშში 6 გოლი) და მისმა თანაგუნდელებმა შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანეს. ჩემპიონატში წარმოჩნდნენ შემდგომში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონები საფრანგეთის და იტალიის გუნდები. იტალიის ნაკრები საერთოდ ამ ჩემპიონატის მშვენებად შეიძლება ჩაითვალოს, რობერტო ბეტეგას და პაოლო როსის გუნდის წარუმატებლობა მნიშვნელოვან მატჩებში მეტწილად უიღბლობას შეიძლება დავაბრალოთ. ბრინჯაოს მედლები ბრაზილიელებმა დაისაკუთრეს (იტალიელებთან პაექრობაში 2-1). ჩემპიონატი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, მასში საასპარეზოდ 104 ქვეყნის ნაკრები ჩაება, გაიმართა 210 შესარჩევი შეხვედრა, გატანილ იქნა 713 გოლი.

ფინალური ტურნირი მიმდინარეობდა 1978 წლის 1-25 ივნისს. გათამაშების სისტემა არ შეცვლილა, გამოვლინდა 16 ფინალისტი. გაიმართა 38 შეხვედრა, გავიდა 102 გოლი (საშუალოდ 2,68), მატჩებს დაესწრო 1.610 215 მაყურებელი (საშუალოდ 42 374 ერთ თამაშზე).

ჩემპიონატს მოემსახურა 28 ქვეყნის 28 მსაჯი.

შესრულდა 2 ჰეთ-თრიკი: რენსენბრინკი (ჰოლანდია), კუბილასი (პერუ). ორ-ორი გოლი მეტოქეთა კარში გაიტანა 11 ფეხბურთელმა. ჩემპიონი გუნდის კაპიტანი დანიელ პასარელა თასით ხელში გულშემატკივართა მხრებზე შემჯდარი შემოატარეს სტადიონს. ნაკრების მწვრთნელი იყო ლუის მენოტი.

**ფინალი**: არგენტინა—ჰოლანდია 3-1 (1-0, 1-1, დამატებითი დრო), ბუენოს-აირესი. „რივერ პლეიტის“ სტადიონი, 25 ივნისი, 80.000 მაყურებელი, მსაჯი ს. გონელა (იტალია).

**არგენტინა**: ფილოლი, ტარანტინი, ოლგინი, პასარელა, ლ. გალვანი, გალიეგო, არდილესი (ლაროსა), ბერტონი, კემპესი, ლუკე, ორტისი (ჰაუსმანი).

**ჰოლანდია**: იონგბლადი, იანსენი (სურბიერი), კროლი, ბრანდტსი, პოორტვლიტი, ნეესკენსი, ჰაანი, ვ. ვან დე კერკჰოფი, რეპი (ნანინგა), რ. ვან დე კერკჰოფი, რენსენბრინკი.

**გოლები**: კემპესი (38, 104), ნანინგა (82), ბერტონი (115).

**გაფრთხილება**: კროლი, არდილესი, ლაროსა, პოორტვლიტი.

**ჩემპიონატის იდეალური ნაკრები**: ფილოლი (არგენტინა), ფოგტსი (გფრ), ამარალი (ბრაზილია), კროლი (ჰოლანდია), ტარანტინი (არგენტინა), კაუზიო (იტალია), დირსეუ (ბრაზილია), რენსენბრინკი (ჰოლანდია), როსი (იტალია), კემპესი (არგენტინა), ბერტონი (არგენტინა).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 3, 4, 5, 6, 7, 9, 10.

**მიხეილ საგანტარიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში

## ბაკურიანიდან გუდაურამდე

დღეს სპორტული შეჯიბრების ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული სპონსორებზე. ამჯერად ასეთად მოგვევლინა, პირველ რიგში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბაკურიანის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი „შევარდენი“ (უფროსი — პოლკოვნიკი ივერი მაღრაძე), რომელმაც უფასოდ აცხოვრა სტუმრები, სპორტსმენთა დასაჯილდოებლად კი 3 მილიონი კუპონი გაიღო. ბორჯომის რაიონის გამგეობამ (გამგებელი ჯუმბერ კურტანიძე), ამ შეჯიბრების გამარჯვებულთ 5-5 ათასი მანეთი და 130-130 ათასი კუპონი გამოუყო. და ბოლოს: გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა ვალიკო ლომიძემ ყველაზე პატარა მონაწილე, 10 წლის დავით პაპიძე 200 ათასი კუპონით დააჯილდოვა, ხოლო უხუცეს მონაწილეს — რობერტ ოგანეზოვს 50 ათასი კუპონი გადასცა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ბესიკ ებრალიძემ.

... 48 მონაწილე გამოვიდა სამთო-სათხილამურო სპორტში საქართველოს ჩემპიონატის სტარტზე, რომელმაც ბაკურიანში, დაბის პარკში აიღო სტარტი (სლალომი).

გოგოებში ორივე დღეს პირველობდა თბილისის მე-6 საშუალო სკოლის მერვეკლასელი სოფიო დუმბაძე, რომელიც ახლახან დაბრუნდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატიდან (იტალია). მეორე შედეგები ჰქონდათ ბაკურიანელებს ილონა ასლანიანსა და ნანა მიქაბერიძეს, მესამე — შორენა პაპიძეს.

უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის ტოლი არ ჰყავდა ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეს, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს ლევან აბრამიშვილს. მეორე იყო ბაკურიანელი მოსწავლე დათო ნასყიდაშვილი, მესამე — ბაკურიანელი ბორის ჯიჯიშვილი. უმცროსი ასაკის ჭაბუკებში გაიმარჯვა გოგა ებრალიძემ. მის გარდა ამ დღეს ტრასა დაამთავრა მხოლოდ დიმიტრი გუგუნავამ (ორივე — თბილისი). მეორე დღეს ამავე ტრასაზე იმარჯვა თბილისელმა კოტე კანდელაკმა, უფროსებში კი კვლავ ლ. აბრამიშვილმა.

საქართველოს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი (გიგანტური სლალომი და სუპერგიგანტი) გუდაურში გაიმართება.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

## ლევან ჩხიკვაძე



კალათბურთის სამყარომ, ქართულმა სპორტმა, ვეტერან კალათბურთელთა ფართო საძმომ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 46 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“, საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლევან ჩხიკვაძე. წავიდა ამ ქვეყნიდან მართალი კაცი, რომლის მთელი ცხოვრება საყვარელ სპორტთან, ქართული კალათბურთის აწმყოსა და მომავალთან იყო დაკავშირებული, წავიდა და თან გაიყოლა განუმეორებელი სევდა უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეზე.

ყოველი შტრიხი, ყოველი ნიუანსი ამ დიდებული პიროვნების აქტიური და სახარგებლო ცხოვრებიდან განსაკუთრებული ძალით გვაახლოვებს გარდასულ დღეებს, არადა, გასახსენებელი, მართლაც ძალზე ბევრია.

კალათბურთში მივიდა 1962 წელს, 14 წლისა. არჩევანი არ შეშლია. მივიდა იქ, სადაც უნდა მისულიყო — თბილისის განათლების განყოფილების გუნდში, რომელსაც სახელოვან კალათბურთელთა მთელი თაობების აღმზრდელი ბუმბერაზი კაცი — მიხეილ კეკელიძე თავკაცობდა. გამოცდა სწორედ ძია მიშას ჩააბარა, მაგრამ მერეც, წლების მანძილზე, ეს მადლიანი კაცი ასწავლიდა თავის აღსაზრდელს თამაშს, ულალატო ცხოვრებას, ქვეყნისა და სპორტის სიყვარულს. როგორც ყველა „სამოციანელმა“, მანაც სიბრძნის კბილი „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში მოიცვალა. 1966-დან 1971 წლამდე სამჯერ გახდა სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონი, მერე ათი წლის მანძილზე ჩვენი მთავარი გუნდის — „დინამოს“ ღირსებას იცავდა, ყველასთან ერთად ინაწილებდა ქართული კალათბურთის სიხარულსა თუ გულისტკივილს. ერთხელ საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა, მეორედ — ხალხთა სპარტაკიადისა. სამგზის საერთაშორისო დინამიადის ჩემპიონი იყო. სწორედ ამ წარმატებისთვის მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. ყველაფერ ამის მიუხედავად ჩინ-მედლებს დახარბებული არ ყოფილა, აი, კალათბურთი კი თავდავიწყებამდე უყვარდა.

მაყურებელს ახსოვს ლევანის მგზნებარე, ცეცხლოვანი კალათბურთი. თამაშის პირველიდან ბოლო წუთამდე ბრძოლისთვის შემართულმა იცოდა ლამაზი და რაინდული კალათბურთის ფასი. ამიტომაც იყო ყველასგან განსხვავებული, მაგრამ ყველასათვის სასიამოვნო პარტნიორი. ყოველ თამაშში თავის უნარს, შნოს, შესაძლებლობას ბოლომდე ავლენდა, არადა, მართლაც, რომ ბევრი შეეძლო. მისი ტემპერამენტი და მგზნებარება ჩვენი კალათბურთის წიაღიდან იყო აღმოცენებული. ამიტომაც მიგვაჩნდა იგი მხოლოდ ჩვენად, ასე ახლობლად.

ზოგჯერ შეუძლებელს აკეთებდა — ამაში იყო მისი ძალა, ხასიათის უმთავრესი შტრიხი. იგი მუხლმოუდრეკელი მებრძოლი იყო, ვისთვისაც მზე ჩვეულებრივზე ადრე ამოდიოდა და გვიან ჩადიოდა. ლევანი ამ მხრივაც ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ ახალგაზრდებისთვის, მომავალი თაობებისთვის...

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, კალათბურთის ფედერაცია, ვეტერანი კალათბურთელები.**

ევგენი ვლადიმიროვი:

## „მე წყენა დავივიწყე!“

**ჭადრაკის** მოყვარულებს კარგად ახსოვთ როგორი სკანდალით დასრულდა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის ურთიერთობა მის სეკუნდანტ ევგენი ვლადიმიროვთან. კასპაროვმა სეკუნდანტი დაადანაშაულა, რომ იგი არ ინახავს მის საჭადრაკო საიდუმლოებებს.

ამას წინათ კორესპონდენტმა ე. ვლადიმიროვს რამდენიმე კითხვით მიმართა.

**⊙ კარგა ხანი გავიდა, რაც თქვენ მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტი აღარა ხართ. როგორი ურთიერთობა გაქვთ ამჟამად კასპაროვთან?**

— ჯერჯერობით მიჭირს რაიმე გარკვეულის თქმა. ერთ-ერთ ინტერვიუში კასპაროვმა თითქოს ისე თქვა, რომ ამ ისტორიაში მტყუანი იყო, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ გაიაზრა, რომ შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი საკუთრივ უნდა გადადგას.

**⊙ ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მისი ახალგაზრდობის ბრალია?**

— უფრო იმ ფიზიკური და მორალური უმძიმესი ბრძოლის ბრალია, რომელიც მსოფლიო პირველობის მატჩებზე იმართება გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. როცა მოჭადრაკე ასეთ პირობებში თამაშობს, ბევრი რამე მას საკმაოდ უცნაურად ეჩვენება. რა თქმა უნდა, ჩვენს ურთიერთობაში გარკვეული როლი კასპაროვის ასაკმა და მისმა იმპულსურმა ხასიათმა შეასრულა. უნდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც: როცა ადამიანი ესოდენ ახალგაზრდულ წლებში ასეთ წარმატებას აღწევს, მის გარშემო მრჩეველთა მთელი ამალა იყრის თავს, ზოგი მათგანი ჩემპიონს, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად უცნაურ რჩევებს აძლევს. მე მარტო ჩემს გარშემო ატეხილ ისტორიას როდი ვგულისხმობ. ზოგიერთი სხვა არასწორი ნაბიჯიც კასპაროვს სწორედ ამ გარემომცველმა „გვარდიამ“ გადაადგმევინა.

**⊙ რას გულისხმობთ?**

— ეს „გვარდიელები“, უპირველეს ყოვლისა, ერთთავად იმას ცდილობენ „მსუქანი ნაჭრები“ იგდონ ხელთ.

**⊙ ხომ არ გსურდათ აღგედგინათ კასპაროვთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა?**

— წყენა დავივიწყე. დარწმუნებული ვარ, რაც მოხდა კასპაროვის ბრალი კი არა, უფრო მისი უბედურებაა. ამასთან, შეიძლებოდა ზოგიერთი სხვა შემთხვევის დასახელებაც, თუმცა ბოლო ხანებში კასპაროვი უფრო თავდაჭერილობას იჩენს.

**⊙ თქვენ კარგად იცნობთ კასპაროვსაც და კარპოვსაც. რას იტყვით მათს გაჭიანურებულ კონფლიქტზე, ვინ მართალია, ვინ მტყუანი?**

— ჩემი აზრით, ეს კონფლიქტი თითიდან არის გამოწოვილი. მე პირადად გაოცებული ვარ ჟურნალების „შახმატი ვ სსრ“ და „შახმატნოე ობოზრენიეს“ პოზიციით. ამ კონფლიქტის გაზვიადებაში მათაც მიუძღვით ბრალი.

**მოამზადა გიგი თორელმა.**



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

აკ. წერეთლის გამზირი, № 2

**ფეხბურთი**

**საქართველოს 1993-94 წლების V ჩემპიონატი**

(II ეტაპი)

18 აპრილი

**„დინამო“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური)**

დასაწყისი 16 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში თამაშის დღეს.

## ოცდაექვსწლიანი იზოლაციის შემდეგ

**მეოთხედი** საუკუნის მანძილზე ამ ორი სახელოვანი სპორტსმენის გვარის ხსენება „კანონით“ იყო აკრძალული. ტაბუ ჰქონდა დადებული ემილ ზატოპეკის პიროვნებას, ამოშლილი იყო მსოფლიო სპორტის ისტორიიდან მისი მეუღლე დანა ზატოპკოვაც. არადა, თანამედროვეობის ამ ორ უდიდეს მძლეოსანს არც ისე ხანმოკლე სპორტული კარიერის მანძილზე მოპოვებული ჰქონდა ხუთი ოლიმპიური ოქროს მედალი (რომ არაფერი ვთქვათ სხვა ჯილდოებზე) და დამყარებული ათამდე მსოფლიო რეკორდი. ემილ და დანა ზატოპეკების მთავარი დანაშაული საბჭოთა და იმჟამინდელ აღმოსავლეთ ევროპის სპორტული ისტორიოგრაფიის წინაშე იყო ის, რომ თავის დროზე (1968 წელს) საჯაროდ დაგმეს საბჭოთა ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია.

მას შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, 26 წელი გავიდა. ახალგაზრდა თაობამ, ბუნებრივია, კარგად არც იცის, ვინ იყვნენ ისინი და რა დამსახურება მიუძღვით თანამედროვე სპორტის წინაშე. არადა, თხრობა შეიძლება დავიწყოთ იმით, რომ ემილ ზატოპეკი სამჯერ (1949, 51, 52 წ.წ.) აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად, მან ექვსჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 5 და 10 კილომეტრებზე რბენაში, 1948 წლის XIV ოლიმპიურ თამაშებში ერთი ოქროს (10 კმ) და ერთი ვერცხლის (5 კმ), 1952 წლის XV ოლიმპიადაზე კი სამი ოქროს (5 და 10 კმ, მარათონი) მედალი მოიპოვა. თავის დროზე (1958 წ.) მსოფლიო რეკორდსმენი იყო მისი მეუღლე დანა ზატოპკოვაც (შუბის ტყორცნაში), 1952 წლის თამაშებში კი მან ოლიმპიური ოქროს მედალი დაისაკუთრა.

## ოთარ გულიშვილი



44 წლის ასაკში დაიღუპა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების ყოფილი წევრი ოთარ გულიშვილი. იგი მრავალი წლის განმავლობაში იცავდა ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას მძლეოსნობის უძნელეს სახეობაში, სპორტულ სიარულში. სპორტის ოსტატს უამრავ შეჯიბრებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და ყოველთვის პატიოსანი და ვაჟკაცური ბრძოლით გამოირჩეოდა. ასეთი იყო შემდეგაც, როცა მწვრთნელი გახდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდების ფიზიკურ გაჯანსაღებას ემსახურებოდა. შრომაში ერთგული და პატიოსანი ადამიანი ერთნაირად უყვარდათ და აფასებდნენ სპორტშიც და იმ კოლექტივშიც, სადაც ბეჯითად ილვწოდა. იგი მართლაც სპორტის კაცი იყო და მისი გულწრფელი, გადამდები სიყვარული შემდეგაც კარგად გამოადგა, როცა ბევრი ახალგაზრდა აზიარა ფიზიკური სიჯანსაღის სიკეთეს.

ტრაგიკულმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვაცალა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც კიდევ ბევრი სიკეთე შეეძლო მოეტანა ჩვენი სპორტისა და ქვეყნისათვის. დაობლდა მისი ოჯახი, მისი ორი შვილი, რომელთაც ნუგეშად მხოლოდ მამის კეთილი და საამაყო სახელი დარჩათ.

**საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია.**

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში ცნობილი კალათბურთელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ლევან ჩხიკვაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის „დინამოს“ კალათბურთო კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ვეტერანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ლევან ჩხიკვაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ლევან ჩხიკვაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და სპორტსაზოგადოება „მართვე“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 58-ე საკალათბურთო სკოლის ყოფილი დირექტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ლევან ჩხიკვაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი

**ლევან ჩხიკვაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რაგბის კავშირი და საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ქუთაისის „აიას“ უფროსი მწვრთნელის, დუგლას კავთელაშვილის დედა

**ლიდა კავთელაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას 14. ● ტელეფონი 99-56-14

ინდექსი 66485 ИНДЕКС

დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“.